აღზრდის სტილები როგორც თვითშეფასების პრედიქტორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი

სტუდენტი: ანა რობაქიძე

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში, შევისწავლე მშობლის მიერ გამოყენებული აღზრდის სტილების გავლენა თვითშეფასებაზე.შევისწავლე აღზრდის სამი სტილი: ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური, როგორც თვითშეფასების პრედიქტორი. მონაცემების მისაღებად, გამოყენებული იყო თვითადმინისტირებადი ელექტრონული კითხვარი, რომელიც მოიცავდა აღზრდის სტილებსა და თვითშეფასების ცვლადების 2 სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ხელმისაწვდომობის შერჩევის გამოყენებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100 მონაწილემ. კვლევის შედეგად დადგინდა რომ აღზრდის სტილებს თვითშეფასებაზე მხოლოდ სუსტი და სტატისტიკურად უმნიშვნელო კავშირი აქვთ. ავტორიტეტული სტილი პოზიტიურად იყო ასოცირებული თვითშეფასებასთან, მაშინ როცა ავტორიტარული და პერმისიული სტილები უარყოფითად. კვლევა მიუთითებს, რომ თვითშეფასების ჩამოყალიბება მრავალფაქტორული პროცესია და საჭიროებს მეტი ცვლადის ჩართვას შემდგომი კვლევებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თვითშეფასება, ავტორიტეტული აღზრდის სტილი, ავტორიტარული აღზრდის სტილი, პერმისიული აღზრდის სტილი

Abstract

In the present study, I examined the influence of parenting styles on self-esteem. Three parenting styles were analyzed as predictors of self-esteem: authoritative, authoritarian, and permissive. Data were collected through a self-administered electronic questionnaire, which included two different instruments measuring parenting styles and self-esteem variables. Using convenience sampling, the study involved 100 participants. The results indicated that parenting styles had only weak and statistically insignificant correlations with self-esteem. The authoritative style was positively associated with self-esteem, while the authoritarian and permissive styles were negatively associated. The findings suggest that the development of self-esteem is a multifactorial process and requires the inclusion of additional variables in future research.

Keywords: Self-esteem, Authoritative parenting style, Authoritarian parenting style, Permissive parenting style

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ირინა ვარდანაშვილს რომელიც ჩართული იყო კვლევის და ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა რჩევებს და რეკომენდაციებს და მეხმარებოდა ნაშრომის შესრულების პროცესში სირთულეების დაძლევაში. მისი დახმარების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.